საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

**2015** წლის **28** დეკემბრის **№98** სხდომის

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **28** დეკემბრის **№98** სხდომაზე სტუ-ის სენატის სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის დამტკიცების შესახებ.

სენატმა დაადგინა: სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცდეს პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

**2015** წლის **28** დეკემბრის **№98** სხდომის

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№2**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **28** დეკემბრის **№98** სხდომაზე სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. რუსუდან ქუთათელაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტ სპარტაკ ბეკვერიას განცხადების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №1819.

სენატმა დაადგინა: სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის №112480 ჯგუფის სტუდენტ სპარტაკ ბეკვერიას სწავლის საფასური დაიფაროს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

**2015 წლის 28 დეკემბრის №98 სხდომის**

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №3**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **28** დეკემბრის **№98** სხდომაზე სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის მენეჯერმა, პროფ. გინა გურეშიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ზოგიერთი სტუდენტისათვის სწავლის საფასურის ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ.

სენატმა დაადგინა: მიეცეს თანხმობა სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტს სტუდენტებისათვის, არსებული ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში, გაავრცელოს შეღავათები სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

**2015** წლის **28** დეკემბრის **№98** სხდომის

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№4**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **28** დეკემბრის **№98** სხდომაზე პროფ. თამაზ აგლაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის მწვანე და მდგრადი ქიმიის საკვლევი ინსტიტუტის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №1850.

სენატმა დაადგინა:

1. სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე შეიქმნას და სტრუქტურულ ერთეულად დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მწვანე და მდგრადი ქიმიის საკვლევი ინსტიტუტი;
2. დამკიცდეს აღნიშნული ინსტიტუტის დებულება;
3. ეთხოვოს სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანს თებერვალში წარმოადგინოს აღნიშნული ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვა.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

**2015** წლის **28** დეკემბრის **№98** სხდომის

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№5**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **28** დეკემბრის **№98** სხდომაზე სტუ-ის სენატის სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სენატის წევრი სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ.

სენატმა დაადგინა: ეთხოვოს სტუ-ის ადმინისტრაციას სტუ-ის სენატის წევრი სტუდენტებისათვის გაავრცელოს შეღავათები სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

**2015** წლის **28** დეკემბრის **№98** სხდომის

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№6**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **28** დეკემბრის **№98** სხდომაზე პროფ. თამარ ლომინაძემ წარმოადგინა საკითხი ნიკოლოზ ლომინაძის სახელობის საგანმანათლებლო ინოვაციების ინკუბატორის (ცენტრი) შექმნის შესახებ.

სენატმა დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული ელექტრონული სწავლების საგანმანათლებლო-სამეცნიერო თვითდაფინანსების ცენტრის ფარგლებში შეიქმნას ნიკოლოზ ლომინაძის სახელობის საგანმანათლებლო ინოვაციების ინკუბატორი (ცენტრი);
2. ნიკოლოზ ლომინაძის სახელობის საგანმანათლებლო ინოვაციების ინკუბატორის (ცენტრი) კუთვნილი აპარატურის სათანადო პირობებში განთავსებისა და გამართული ფუნქციონირების მიზნით, სტუ-ის VI სასწავლო კორპუსის 325დ, 326დ და 327დ ოთახების გარემონტებისა და შესაბამისი სასწავლო, საოფისე ინვენტარით აღჭურვისათვის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტში გამოიყოს 29 000 (ოცდაცხრა ათასი) ლარი;
3. დაევალოს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანს, ბატონ ზურაბ წვერაიძეს შეარჩიოს შესაბამისი სათავსი და უზრუნველყოს 326დ ოთახში განთავსებული არქივის გადატანა.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე